განკარგულება:**გ-63. 63240926**
თარიღი:**01/04/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქ. №64-ში მდებარე 176.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.199) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ ქვეპუნქტის ,,ე.დ“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე–2 მუხლის ,,ი“–ქვეპუნქტისა და 34–ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქ. №64-ში მდებარე 176.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.199) საპრივატიზაციო ობიექტად განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქ. №64-ში მდებარე 176.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.199) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

1.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქ. №64-ში მდებარე 176.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.199) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქ. №64-ში მდებარე 176.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.199) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 7000 (შვიდი ათასი) ლარი.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქ. №64-ში მდებარე 176.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.199) ბიჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში, რესპუბლიკის ქ. №64-ში მდებარე 176.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.42.199) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

1.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი